№ 233. 4 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1880 4 ნოემბერი, სამშაბათი. № 233.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

ა რეგანახშეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარ. ბ. ეუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ადგილებისთვის: Въ Тифлисѣ, въ ре[illegible] Дроэба“ „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაში“ „ივერიაში“ ერთად. . 13 მან. . . 7 მან. . 4 მ.

ცალკე { „დროებაში“ . . . . . 9 მან. . . 5 მან. . 3 მ.
{ „ივერიაში“. . . . . 6 მან. . . 4 მან. . 2 მ.

ცალკეულობენი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ერთ ადგილ ერთ ხაზზე 1 კაპ., [illegible] ერთ ადგილ ერთ ხაზზე ნახევარი კაპ. ნეგულებრივად ერთ ხაზზე შეოთხედ კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, redაქცია გაანგარიშებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს redაქცია ფოსტით კარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება შიდაგან ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

არწრუნის თეატრში

ოთხშაბათს, 5 ნოემბერს

ბენეფისი

ბ. კოტრინთლისა

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

I

დავა

ანუ

ტოჩკა და ზაპეტაია;

კომედია ხუთ მოქმედებად, თხზ. თ. დ. ერისთავისა.

II

პარიკმახერისას

ხუმრობა-ვოდევილი ერთ მოქმედებად თხზ. თ. რ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნიერ თეატრის კასსაში და ალექსანდროვის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 2 ნოემბერი. „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ მინისტრი გრეიგი, საგუთარის თხოვნის თანახმად, დათხოვნილია თანამდებობიდგან და ფინანსის მინისტრად დანიშნა ბაზა.

სტამბოლი, 1 ნოემ. ეგვეტა ელჩებმა, გარდა ესპანიისა და რუმინიისა, ნოტა წარუდგინეს ოსმალეთის მმართველობას, რომ კუმერიოს მომკვლელი დროზედ დასჯის საკვდილით. კორტის მოთხოვნილებით, ერთი მოტანებული იტალიის ქალი თავის ოჯახს დაუბრუნეს.

თეირანი, 1 ნოემ. სპარსეთის ჯარებმა სუჯულაი აიღეს; ამ ქალაქის არე-მარეში 2,000 დაუმარხავი კაცის გვამი ჭერია. ქურთების ბელადი აბეიდუღა თავის მომხრეებით ურმიაში გამაგრდა.

თფ. უეზდის თავად-აზნაურთა კრება.

ტფილისი, 3 ნოემბერს.

ბუშინ, 2 ნოემბერს, საადგილმამულო ბანკის სადგომში, გამოცხადებისა თანახმად, შეიკრიბნენ თფილისის უეზდის თავად-აზნაურნი თავიანთ „შვილების აღზრდის ღონისძიებათა მოსაპოვებლად.“

სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, რომ ფრიად საჭირო საგნის განხილვის დროს დაესწრო სულ 22 თავადი და აზნაური თფილისის უეზდისა,—ისინიც თითქმის ყველა თვითონ ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ, სოფლიდამ კი, ამ კრებაზე დასასწრებელად, თუ არა ვსცდებით, მგონი ერთი კაციც არ ჩამოსულა...

ამას რომ ვსწერთ, გვრცხვენია ჩვენი თავად-აზნაურების მაგიერად... გვრცხვენია, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ამ ოც-და-ორმა კაცმა, ამ მძიმე საგნის განხილვის დროს, სწორე ისეთი მოსაწონი გარდაწყვეტილება მიიღო, როგორის მიღებაც ღირსი იყო და ეკადრებოდა ჩვენს თავად-აზნაურობას... მაგრამ თავიდამ დავიწყოთ.

სხდომა პირველ საათზე გაიხსნა. კრების თავსმჯდომარემ თფ. მაზრის წინამძღოლმა ბ. ლუარსაბ მაღალაშვილმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ლამაზი სიტყვა იმაზედ—თუ რისთვის, რა საგანზედ მოსალაპარაკებელად იყო დღეს მოწვეული თფ. მაზრის თავად-აზნაურობა. სთქვა—თუ რამდენი გაჭირება ადგია ჩვენს თავად-აზნაურობას შვილების აღზრდის დროს, თუ როგორ არიან ისინი შეიწროებულნი, რომ თავიანთი შვილები ვიმნაზიებში გამოზარდონ და რამდენი დაბრკოლება აქვს ამ საქმეს. მოიხსენა, რომ, როცა სამხედრო გიმნაზიას ხსნიდნენ, გვანუგეშებდნენო, რომ ასი ვაკანსია ამ გიმნაზიაში საკუთრივ ქართველებისთვის იქნებაო; მაგრამ ბოლოს კი აღმოჩნდაო, რომ ჩვენ ამ გიმნაზიაში არც ერთი ვაკანსია არა გვაქვს, რომ ჩვენი შვილებიც მხოლოთ იმავე კონკურსის ეგზამენიით მიიღებიან იქ, როგორც საზოგადოთ ყველასი და სხვ. ბოლოს წაუკითხა საზოგადოებას ბორის, თელავის და სიღნაღის თავად-აზნაურთა კრებების გარდაწყვეტილება ამავე საგანზედ და გამოაცხადა სრული იმედი, რომ თფ. უეზდის თავად-აზნაურობა, რომელიც ყველა ამ გვარ საქმეებში წინა დგასო, რასაკვირველია, არც აქ ჩამორჩება უკან საქართველოს დანარჩენ ნაწილების თავად-აზნაურობასაო.

ბაასიც არ ამტყდარა ამ საგანზედ: მთელმა კრებამ ერთ-ხმად გამოაცხადა სურვილი, რომ ის კისრულობს თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად მუდამ წლიურ ვალდებულებით გადასახადს.

ცოტაოდენი ბაასი ასტყდა მხოლოთ კომისიის არჩევის თაობაზედ, რომელსაც ცნობაში უნდა მოეყვანა — თუ რამდენი თავად-აზნაურნი ითვლება საკუთრივ თფილისის მაზრაში, რა შეძლება აქვსთ ამათა და თითოეულს წლიურად რამდენი მანეთის შემოტანა შეუძლიან ამ საგნისათვის.

თ. ნაპ. ამატუნი ამტკიცებდა, რომ კომმისიას ყველა ამის გამოკვლევა და გარდაწყვეტა არ შეუძლიანო; ეს საზოგადო თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების საქმეაო, ის ამოირჩევს თავის კომისიას და ეს კომისია უფრო ადვილად მოახერხებს ამ საქმის შესრულებასაო.

ბ. კ. ქ. მამაცოვი ამის წინააღმდეგს ამტკიცებდა; ამან განმარტა—თუ რა აზრითა და დანიშნულებით იყო ამორჩეული ამ გვარი კომმისია ბორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებისაგან.

კომმისიის სარგებლობას ამტკიცებდა აგრეთვე მაზრის წინამძღოლი ბ. ლ. მაღალაშვილი, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენი კომმისია დამზადებულ მასალას წარუდგენს საზოგადო კრებასაო და ამ კრებას მერე აღარ გაუჭირდება საქმის საბოლოოთ გარდაწყვეტაო.

ბუბერნიის წინამძღომლის თ. დ. ა. სუმბათოვის აზრი იყო, რომ, კომმისიის მაგიერად, ყველა ამ ცნობების შეკრება მიენდოთ მაზრის წინამძღომ.

კრებამ ხმის უმეტესობით კომმისიის დანიშნვა გარდაწყვიტა.

ბოლოს თავსმჯდომარემ წაუკითხა კრებას შემდეგი პროტოკოლი კრებისა, რომელიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

„მისი იმპერატორებით უდიდესობის ბრძანების ძალით, თფილისის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ მოისმინა 2 მაისს 1879 წლის გუბერნიის კრების პროტოკოლი და ერთ-ხმად გადასწყვიტა: თფილისის მაზრის ყველა თავად-აზნაურისათვის დადგენილ-იქმნეს მუდამ-წლიური ვალდებულებითი გარდასახადი თავად-აზნაურთა შვილების სწავლა-განათლებისათვის. ამ მიზნით ამორჩეულია კომმისია შემდეგ პირთაგან: თ. ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ. ქოსტ. ბებუთოვი, თ. ლუკა ბებუთოვი, ანტ. ყორღანოვი, თ. ვახტ. ორბელიან დიმ. ბედევანოვი; კომმისიის თავმჯდომარედ იქნება თვითონ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. კომმისიას მინდობილი აქვს: შეადგინოს კომლობით სია თფ. მაზრის თავად-აზნაურებისა და წარმოადგინოს თავის აზრი იმაზედ—თუ რამდენ მამულიანმა თავადმა და აზნაურმა რამდენი ფული უნდა შემოიტანოს წლიურად; ეს მინდობილობა მომავალ 1881 წლის უნდ აპირველ იანერამდინ შეასრულოს და შემდეგ თავის გარდაწყვეტილება წარმოადგინოს თფ. მაზრის თავად-აზნაურთა კრებაში.“

კრება მეორე საათის ნახევარზე გათავდა.

ეს ჩინებული და ყოვლად-საქები გარდაწყვეტილება თფ. მაზრის თავად-აზნაურთა კრებისა გვიმატებს ჩვენ იმედს, რომ ის სასურველი აზრი ქართულ გიმნაზიის დაარსებაზე, რომელიც 1879 წლის საზოგადო კრებაში შემოიტანა პატივ-ცემულ კ. ქ. მამაცოვმა ყველასთვის სანატრელ დასასრულს ეღირსება...

ახალი ამბები

ბუშინ წინ მოგვივდა ჩვენ თფილისის ოლქის სასამართლოს უწყება, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ჩვენი გაზეთის ორივე redაქტორები, თფილისის ვაჭრის ერვიოს საქმის თაობაზედ, 15 დეკემბრისთვის არიან დაბარებულნი.

მოგეხსენებათ, რომ ბატ. ერვიო გვიჩივის ჩვენ ცილის წამებას გაზეთით.

ამ საინტერესო საქმის თაობაზედ, რომელსაც ცოტაც არ იყოს საზოგადო მნიშვნელობა აქვს, ამ მოკლე ხანში დაწვრილებით მოვილაპარაკებთ და სრული იმედი გვაქვს, აქაც, გაზეთშიაც დავამტკიცოთ, რომ ბატ. ერვიო და იმის მეცნიერი ვექილი ბატ. სტეფანოვი სულ ტყუილ-უბრალოთ იწუხებენ თავს, რომ ჩვენს შენიშვნაში არავითარი ცილის-წამებითი განზრახვა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო.

***

ბატ. ერვიოს წახედვით შეეტანა ჩვენზე საჩივარი აგრეთვე ქუთაისის საგლეხო სასამართლოს წევრმა ბატ. სერჟპუტოვსკიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენ შევურაცხ-ვყავით „იმის კეთილი სახელი და პატიოსნება“ იმ კორრესპონდენციებში (ქვა-გუნდის თაობაზედ), რომელნიც თ. ივ. აბაშიძისაგან იყვნენ ხელ-მოწერილნი და ამ წლის „დროების“ №№ 20 და 30-ში დაიბეჭდა.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ უკანასკნელის თვის განმავლობაში თფილისის დამოჟნაში სამის თფილისის ვაჭრის საქონელი დაუჭერიათ, რადგან ამ საქონლის ფაქტურაში (სიაში) ერთი ეწერა და თვითონ საქონელი კი სხვა გამოდგა. ერთს ვაჭარს მაგალი-

თად ეჩვენებინა, რომ ამა-და-ამ ყუთებში ჩითის საქონელიაო და როდესაც გაეხსნათ, ენახათ, რომ ზემოდამ მართლა ჩითის საქონელი ყოფილიყო, ქვემოთ კი აბრეშუმეული და ხავერდი; მეორეს შალებში რომ გახსნეს, ლენტები, კრუჟავები და სხვა ამისთანა ძვირფასი საქონელი აღმოჩენილა.

ამბობენ, სამივე ვაჭრის საქონელი დაჭერილიაო და დამოჟნის მოტყუების განზრახვისათვის დიდი ჯარიმა გადახდებათო.

აი ამ ნაირის ოინებით არის, რომ ზოგიერთი ჩვენებური ვაჭრები ასე უეცრად მდიდრდებიან ჩვენში და სხვები კი, რომელნიც შედარებით უფრო პატიოსნად ვაჭრობენ ან ამ გვარ ხრიკებს ვერ ახერხებენ, კოტრდებიან, რადგან დამოჟნაში სრული და ჯეროვანი ბაჟი მიუციათ და გამოპარებულ საქონლის პატრონსავით იაფად ვერ ჰყიდიან თავის საქონელსა.....

* * *

ოფიციალურ გაზეთის „კავკაზის“ კვირის ნომერში დაბეჭდილია დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის მადლობა კავკასიის ყველა გუბერნიების ღუბერნატორებისა, მაზრის უფროსებისა და საზოგადოთ ყველა იმ პირებისადმი, რომელთაც კალიის გაწყვეტაში მონაწილეობა მიიღეს შარშან.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, 1 ნოემბერს, გავლილ შაბათს, სურამზე თოვლი მოსულა და ღამე ყინვა იყოვო; შარშან კი 12 ქრისტეშობისთვეს მოვიდა აქ თოვლიო.

* * *

ჩვენ მივიღეთ კახეთიდამ შემდეგი წერილი:

მუშინ წინ, 24 ღვინობისთვეს, თელავში ჩამოვიდა დაუღალავი მუშაკი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინოვი. დიდი პატივისცემა და მადლობა მართებს ჩვენგან ამ უჩინარი კაცისა, რომელიც ყოვლის მიუდგომელად წინ-მდგომი ათას გვარი დაბრკოლებებისა და სიძნელისა, დაუღალავად და ერთხელ მტკიცედ გარკვეულის გზით ასრულებს თავის განზრახვას: „ჩვენი მძლავრი და ჩინებული წინაპრების ნალვაწთ-ნაშთების ცოცხლათ გადახატვით, ხელმეორედ განვეცოცხლოს წარსული დიდებული დრო“.

ჩვენ თვითონ ჩვენის თვალით ვნახეთ ამისაგან გადაღებული შემდეგი სურათები:

1) ძველი შუა-მთის მონასტერი;

2) ახალი შუა-მთის მონასტერი;

3) შუა-მთის ღვთის-მშობლის ძველი ხატი თავისი ძვირფასი ქვებით;

4) ამავე მონასტრის წმიდა ნაწილები სხვა-და-სხვა ზედ წარწერებით;

5) ძველი შუა-მთის ანტიკური კანკელის ხელით გადმოღებული სურათი, რომელსაც იგი შემდეგში კარგად აპირობს დახატვას.

6) ალავერდის სობორო;

7) წმინდა ნინოს ეკკლესია თავისი ახალი გუმბათით;

8) ხირსის მონასტერი და მრავალი სხვა სურათები ნაშთებისა ზაქათალის ოლქაში, ნუხის, შუშის და სხვა მაზრებში; — და უნდა გაეტყდეთ, რომ ჩინებულად არიან გადაღებულნი და ღირსნიც არიან, უპირველესი ადგილი დაიჭირონ ჩვენი ოთახების გამამშვენებელ სურათებს შორის; ეჭვიც არ არის, რომ ეს ასეც იქნება: როდესაც უფ. როინოვი გამოსცემს თავის სურათებს საქყეყნოდ, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები მოისურვებენ მათს შეძენას ძალიან, ძალიან დიდი მადლობის ღირსია ბ. ა. როინოვი ამ ჩინებული ღვაწლისათვის.

მაგრამ რა უთხრა იმათ, ვინც თავიანთი უგუნურებით და უმეცრებით, ხელის მომართვის მაგიერ, გზას უხლართავენ და შრომას უძნელებენ ამ მუშაკსა?! — იმ დროს, როდესაც შუამთის მონასტრის წინამძღვარი მამა მიტროფანი ნამდვილ განათლებული და წმინდა ბერის გულით ხელს უმართავს ამ კაცსა, იმავე დროს, ფრიად სამწუხაროდ, ალავერდის სობოროს მღვდელი მ. იოანე დარჩიევი ნებას არ აძლევს როინოვს, რომ გადაიღოს ზოგიერთი შესანიშნავნი ნივთნი ალავერდის სობოროსი! მგონია, რომ თვითონ ბლაღოჩინი დეკანოზი მრევლოვიც თავის მღვდელს აჰყოლია და მღვდლის წერილზე ამ საქმის შესახებ იწერება: „არ შეიძლებაო!“ როინოვი დაქანცული და დაღონებული ჩამოვიდა უკან თელავში და ტელეგრამმით აცნობა ექსარხოსს, რათა მან ნება მიჰსცეს მას ალავერდის სობოროს ყველა შესანიშნავი ნივთების გადაღებისა. თქმა არ უნდა, რომ ექსარხოსისაგან მაინც მიიღებს იგი ნება-რთვას...

თავ-ზარი.

საკითხავი წიგნების სიძვირე

წიგნები იმისთანა იარაღია, რომლის საშუალებითაც კაცის გონება მოძრაობს, მოქმედებს; მათის მეოხებით ადამიანს უფართოვდება გონებითი სამფლობელო; უწიგნოთ კაცი ნათელშია და ნათელს კი ვერა ხედავს.

სწორეთ ამ ნაირ მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი ხალხის უმრავლესობა. რამდენს ენატრება ჩვენში ქართული წიგნები მაგრამ ვერ უპოვნია. ან კი საიდამ უნდა იშოვნოს; რაც კი რამ უწერიათ ჩვენ მწერლებს ან უთარგმნიათ სხვა ენებიდამ, იმათგან მეათედს თუ მონახავს კაცი, დიდი საქმეა, რადგან თითქმის ყველაფერი ჟურნალ-გაზეთებშია დაბეჭდილი. ეს ნალვაწი რჩება მხოლოდ ერთი მუჭა ხალხისათვის და შემდეგ განძეულის სამკვიდრებელად; ისეც, მდიდრებისა, თორემ ღარიბს ვინ მიაშავებს ჟურნალებსა და გაზეთებს! საგანგებოდაც რომ მოიწადინოს კაცმა, ვერ იშოვნის საყიდლად, ასე იშვიათია.

უმრავლესობა თითქმის კმაყოფილდება მარტივი ზღაპრების და რიჟანოღლანური ლექსების კითხვით; მერე ისეთი უმრავლესობა, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ბედი.

არ ვივარგებთ ჩვენ, ქართველები, თუ ამ უმრავლესობას კითხვის ღონის-ძიება არ მოუპოვა კაცმა და არ უჩინა გზა გონებითი გახსნილობისა თავის სამშობლო ენაზე.

ნაწერი და ნათარგმნი ბევრი გვაქვსთ; მაგრამ თვალით არ გვიჩანს. მინდორში ყვავილები ბევრია, მომკრეფი არავინ არის; კიდეც რომ ვინმე მოინდომოს ამათი მოკრეფა, მოკრეფის საშუალებას ვერ პოულობს. სწორეთ ასეთს მდგომარეობაშია სამწერლო ვარდები ლიტერატურის ფართო ველზედაც.

და აქ-დამ წარმოსდგება, რომ ჩვენი მკითხველი ვერ აფასებს ჩვენი ავტორების ნიჭსა და ნალვაწს.

ანტონოვისა და გ. ერისთვის გარდა, თუ არ ვსცდები, ერთი მწერალიც არა გვყავს ჩვენ, რომლის ყველა ნაწერები სრულად და უნაკლულოდ იყოს გამოცემული! ამ გვარივე დღე ადგიათ ჩვენს თარგმანებსაც სხვა-და-სხვა ენებიდამ. მოლიერის, შექსპირის, გიოტეს, პუშკინის, ლერმონტოვის თხზულებათა თარგმანები შეადგენენ პატარ-პატარა წიგნებს; სხვა მწერლებისას არ ვამბობ, რადგან ამათი, მგონი, უფრო ცოტაა; უცხო ქვეყნების ლიტერატურა თითქმის ფეხ მოუდგმელია ჩვენს ნიადაგზე; მაგრამ რაც არის ნათარგმნი, რო არც ის ვიცით!

სანამ ჩვენი მწერლების და თარგმანების სრული გამოცემა არ გვექნება, მანამ ჩვენში კრიტიკაც თითქმის შეუძლებელია... იქნება სულ ეს გარემოებაც იყოს მიზეზი, რომ დღემდინ ჩვენში კრიტიკოსი არ გამოჩენილა! რა უნდა დააფასოს, რა უნდა ასწონოს, რას უნდა უყოს კრიტიკა, როდესაც დასაფასებელი და საკრიტიკო ხელში არა უჭირავს-რა.

ერთი უპაჭიროესი საქმეთაგანი იქნება, რომ ან ერთი ვინმე, ან წრე, ამხანაგობა გამოჩნდებოდეს, რომელმანც იკისროს ჩვენი გამოჩენილ მწერლების თხზულებათა მაინც ცალკე წიგნებად, სრულად გამოცემა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ცოცხალ მწერლებისაგან ამ გვარი პირი ანუ წრე, დახმარებას თუ არა, დაბრკოლებას არ მიიღებს. მეორეს მხრით იმაშიაც დარწმუნებული ვარ, რომ გამომცემი კარგის სარგებლით ამოიგებს ამ გვარ საქმეზედ დახარჯულ ფულსა.

მაშ რატომ არ ჩნდებიან ჩვენში ამ გვარი გამომცემლები?!

პ. მირიანაშვილი.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

თრიალეთიდამ, 26 ღვინ. ეს მეორე წელიწადი მიდის, რაც თრიალეთზედ პოლიციის პრისტავათ თათრის ლუსეინა მობრძანდა, ამ ერთ წელიწადში. თრიალეთის [illegible] ხევის სახანეთ გარდაიქცა; ქურდობა, ავაზაკობა ისრეთი ხშირი არის, როგორათაც კარტოფილი კარტოფილის ბოსტანში.

დასამტკიცებლათ ამისა წარმოვადგენ ჯერეთ ქართელის სამს სოფელსა: დიდ-ბომარეთსა, მამულა სოფელსა და ახასა. სეკტემბრის თვეში ქურდებმა ხსენებულ სოფლებიდგან წაასხეს საქონელი შემდეგი:

დიდი-ბომარეთიდამ: ხუთი ხარი, რომელნიც ღირდნენ 300 მანეთათ; მეორეთ ორი ხარი, რომლებიც ღირდნენ 130 მანეთათ; ორი ცხენი ღირებულნი 160 მანეთათ; კიდევ სამი მოზვერი, რომლებიც ღირდნენ 120 მანეთათ; თერთმეტი ცხვარი 60 მანეთათ.

მამულა სოფლიდამ: თორმეტი ცხვარი ღირებულნი 60 მანეთათ, ერთი ძროხა ღირებული 40 მანეთათ.

სოფელ ახაში: ხუთი ხარი ღირებულნი 240 მანეთათ, რვა ფუტკარი ღირებულნი 80 მანეთათ; ოთხი ყოჩი ღირებულნი 20 მანეთათ და ოცდა-ათი ბატი, რომლებიც ღირდნენ 30 მანეთათ.

ზემორე-ხსენებული საქონელი, რომელიც ღირდა 1230 მანეთათ, ნეტავ ვიცოდეთ რაიქმნა? ვინ გასუქდა... თათრის ალახმა იცოდეს, მაგრამ ჩვენც რომ მივაკლიოთ კვალი, უმჯობესი უნდა იქმნებოდეს.

19-სა სეკტემბერსა ამა წელსა დიდი-ბომარეთის სოფელში ღამე საბძლიდამ გლეხ-კაცსა ბიგო აფაქიძეს მოპარეს ცხრა ცხვარი და ორი ყოჩი. გლეხ-კაცმა განთიადისას გაიგო და სწრაფათ მიჰყვა ცხვრის ფეხის კვალსა, რომელმანც მიიყვანა მეზობლის თათრის სოფელში საჯაშიდ. მაშინათვე, რასაკვირველია, დამკარგავი ცხვრებისა მივიდა და სოფლის სტარშინას გამოუცხადა და სთხოვა კვალის გაშინჯვა; მაგრამ ყურს ვინ უგდებდა, მეტადრე ქართველს თათრები; ბედზედ თუ უბედურებაზედ, თურმე რას ბძანებთ, პრისტავიც ლუსეინაც იქა ბრძანდებოდა და, რასაკვირველია, საკლავიც საჭირო იქნებოდა. ბიგო აფაქიძეს მაშინათვე დაუყოვნებლად პრისტავისათვის გამოეცხადებინა; პრისტავს ლუსეინას აქათ-იქით მიეხედ-მოეხედნა თვალით თავიანთიებური ანბანი წაეკითხნა, და ებრძანებინა, რომ სახლები დაატარებთო.

საცოდავი აფაქიძეც მოტყუებული-ყო და ყაბული გამხდარიყო. რას ბრძანებთ, რომელ სახლშიაც ის მოპარული ცხვრები დახოცილი იყვნენ, ორმოში ჩაეკიდნათ და ორმოზედ ს ოცი წლის ბებერი დაეწვინათ, ვითომც მელოგინე პატარძალი ბრძანდებოდა... რას მოიფიქრებდა საცოდავი ქართველი კაცი, ან რა ნამუსი მისცემდა, რომ ეჭვი მელოგინეზედ მიეტანა. რასაკვირველია, ოსტატობა კარგია; სახლების დაჩხრეკის დროს კვალი სრულებით აერიათ, რომ არც თავი ჩნდა და არც ბოლო.

მაშინ ზიგო აფაქიძე პრისტაეს ᲚᲣᲡᲔᲘᲜᲐᲡ მუხლებზედ მოხვეოდა და ეთხოვნა: „შენი ჭირიმე, ბატონო, უბრძანე თათრებსა, რომ ჩემი ორი ყოჩ მამცენო, ცხრა ცხვარი კი მაგათზედ ალალი იყოსო!“ ᲐᲛ დროს პრისტავი ცხენზედ შებრძანებულიყო და ერთ თათრისათვის ეთქვა, თუ ხათრი გაქვს, ორი ყოჩი მიეცითო. ᲐᲛ სიტყვებით ბ. ᲚᲣᲡᲔᲘᲜᲐ წაბრძანდა, მაგრამ საწყალ აფაქიძეს აღარც ყოჩები მისცეს თათრებმა.

ᲖᲣᲚ-ᲮᲔᲚ დაკრეფილი, დაღონებული მოვიდა ხსენებული გლეხი-კაცი თავის სოფელში, თრევაც მომეტებული იყო. ᲘᲛ ჟამად იმათ პრიხოდის მღვდელსაც გაეგო, რომ ზიგო, აფაქიძეს დაკარგულ ცხვრებში ორი თოხლი მღვდლისაც წაეყვანათ, რომელიც შესანახათ ყვანდა მიბარებული აფაქიძესთან. მისწერა წიგნი პრისტაეს ᲚᲣᲡᲔᲘᲜᲐᲡ და სთხოვა, რომ შემწეობა ეხმარა რაიმე. ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲗ გლეხ-კაცს წაერთო და მიერთმია პრისტავისათვის; პრისტავს; წაეკითხა წერილი, ენახა, რომ ცარიელი წერილი, ყოფილიყო, ერთი შეეყვირნა და ებრძანებინა, რომ სუდში წადითო.

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲚᲐᲗ ვცნობ მე ამ ᲚᲣᲡᲔᲘᲜᲐᲡ სიტყვებს: თუ გინდ რომ კაცი მოკლან, მაინც მისი საქმე არის იმან უნდა გაათავოს, სუდი ვინ არის, ან სლედოვატელს რა საქმე აქვს! ᲐᲛ შემთხვევაში კი იმისი საქე არ არის, რადგანაც არაფერ ჯილდოს არ ხედავს და თათრებიდგან მოპარულ ცხვრებიდგან თვითონ მომეტებულ სარგებლობას გასწევს.

ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ: რატომ მთავრობაში საჩივარი არ შედისო? მაგრამ მიზეზიც ცხადი გახლავსთ: პრისტავათ რუსი, ქართველი, ანუ სომეხი იქმნება, ყოველს წვრილ საქმეებზედაც საჩივრები შევა; მაგრამ თათრის პრისტავზედ ვინ შეიტანს საჩივარსა? ᲡᲐᲛ დღეზედ ცოლ-შვილით და ქონებით გააოხრებენ, და ამისა გამო ვერ უჩივიან ამ ᲚᲣᲡᲔᲘᲜᲐᲡ; მთავრობას კი ჰგონია, რომ უმანკოთ მსახურობსო. ᲗᲣ კი სამ პატარა ქართვლის სოფლიდამ ერთს თვეში 1,230 მანეთამდის საქონელი მოიპარება, ᲗᲠᲘᲐᲚᲔᲗᲘᲡ საპრისტაოში რამდენი სოფლებია, ან წელიწადს რამდენი თვე აქვს!

გოშარელი სესიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

2 ნოემბერს.

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲭᲥᲣᲮᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲬᲕᲘᲛᲡ“ სამ მოქმედებიანი კომედია ᲖᲝᲚᲓᲝᲜᲘᲡᲐ და „ᲐᲧᲐᲯ-ᲛᲐᲧᲐᲯᲘ ᲪᲝᲯ-ᲥᲛᲐᲠᲡᲨᲣᲐ“ ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი ვადმოკეთ. Ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐ�გᲐᲜ.

ᲖᲣᲨᲘᲜ-ᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ წარმოდგენა,—კაცმა რომ პირ-უთნელად და გულღიად სთქვას—ოთხმა მოთამაშემ ააცდინა იმ სასცენო ფიასკოს, რომელსაც ჩვენ „წახდენას“ და „სულ ერთიანად გაფუჭებას“ ვეძახით.

პირველი პიესა, რომელსაც შინაარსითაც და მშვენიერის ენითაც უეჭველად საჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი რეპერტუარის „ადვილთ კომედიების“ რიცხვში —ადვილად შეუძლია ესთეტიკური სიამოვნება გამოიწვიოს მაყურებელში, თუ კი მოთამაშეებს ნატამლის ოდენადაც მაინც ეცოდინებათ სასცენო ხელოვნება ღა როლები სვინდისიანად გაზეპირებული ექნებათ. რამდენადაც პირველი თვისება არ აკლდათ გუშინდელ მოთამაშეებს, იმდენად მოკლებულნი გახლდნენ მეორეს—როლების ცოდნას. ᲐᲛ ნაკლმა ბევრი ღირსება მიჰხადა ბ. ᲒᲘ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ხელოვნურს თამაშს მდიდარი კაცის ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔᲡ როლში. რომელიმე ჩინებულს ადგილს რომ მშვენივრად აასრულებდა ის და საზოგადოება აღტაცებულად ტაშის-კვრით აცხადებდა თავის მოწონებას,—მერმე უეცრად მისი ხეხელოვნური თამაში უბრალო ლაპარაკად გადიქცეოდა ხოლმე და იგიც რა რიგ ლაპარაკად: წინადადებათა შუაზედ ჰყოფდა, ერთს ნახევარს წინანდელ წინადადებას მიაკერებდა და მეორეს შემდეგს წინადადებას! ᲐᲖᲠᲗᲐ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲛ და ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲐᲛᲐᲪ თქვენი ჭირი წაიღეს! ᲐᲛ რიგად, ყველა ის სცენები, როცა მდიდარი ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔ გულზე მოდის და ჯავრობს—მშვენიერის ხელოვნებით წარმოადგინა ბ. ᲒᲘ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲛ, რადგანაც აქ მარტო არტისტული თამაში იყო საჭირო, თითქმის უსიტყვოთ, გარდა ერთიორი სიტყვისა: „თქვი რაღა!“ „დამაცალეთ!“ და სხვ. ᲘᲡ ადგილები კი, სადაც თამაშს ლაპარაკიც შეწეოდა—უფერულად აასრულა. მისდა ბედათ ამისთანა ადგილები მხოლოდ სხვათა შორისაა პიესაში და პირველისებრივი სცენებით კი სავსეა კომედია. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ საზოგადო შთაბეჭდილება ბ. ᲒᲘ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ თამაშობიაგან გამოწვეული ᲯᲐᲠᲒᲘ იყო.

ᲔᲡᲕᲔ ᲜᲙᲚᲘ, ე. ი. როლის უცოდინარობა, თუმც არც Ჯ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ (ᲐᲜᲢᲝᲜᲘ) ჰქონდა სრულიად აშორებული, მაგრამ თუ არ ერთობ გამოცდილი მოთეატრე კაცი, ისე ვერ ვინ შეატყობდა მას ამ ნაკლს, მეტადრე ისე არტისტულად უნაკლულო თამაშობის დროს, როგორც პირველს და მეორე მოქმედებაში. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მიხვრა-მოხვრა, მოსწრებულად, დროზედ შესაფერი სახის მეტყველება—აი Ჯ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ გუშინ-წინდელი თამაშობის გასარკვევი ნიშნები. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ყოველთვის და განსაკუთრებით გუშინ-წინ ვინ არ იტყოდა ამ მოთამაშის შემხედვარე: „ᲘᲡ ᲮᲝᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲥᲢᲘᲝᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ მიხვრა-მოხვრას, რაც უნდა უბრალო იყოს იგი, ᲔᲠᲗ-ᲯᲔᲠ სჭრის და ᲐᲡᲯᲔᲠ ზომავსო!“

მესამე მოთამაშე, რომელმაც ეს პიესა დანარჩენ აქტიორთა უხეირო თამაშის გამო წახდენისაგან გადაარჩინა, გახლდათ ბ. ᲯᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ. ᲯᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ, ᲯᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ! ᲘᲡ ქალ-ბატონი უნებლიეთ მაგონებს საქართველოს იმ ისტორიულ ხანებს, როდესაც, არევ-დარეულობის შემდეგ, იმისთანა კაცებს მიუქცევიათ სამშობლოის ყურად-ღება, რომელთაც წინედ, ბატონების მშვიდობიანად ბატონობის დროს, უნიჭოდ თვლიდნენ და კაცი ყურადღებას არ აქცევდა; მაგრამ განსაცდელის დროს რომ მოაწევდა თავს იჩენდნენ და შემდეგ დარბაისლებში გარეულნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ „ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხშიო!“ ᲐᲛ პატივ-ცემულს ქალ-ბატონსაც წინედ მოთეატრე საზოგადოება და სათეატრო კრიტიკაც ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევდა. ᲘᲥᲜᲔᲑᲐ წინად ამის ღირსიც იყო, მაგრამ ეხლა მთელი ჯგუფა წარმოდგენების შემდეგ მან ცხადად დაანახვა საზოგადოებას, რომ ეხლა იგი გაწვრთნილი, გამოცდილი მოთამაშეა, და მასაც შეუძლია როლებისთვის ფერის მიცემა, და კარგად, ზოგჯერ მშვენიერადაც თამაშობა.

მართლაც მოსაწონი იყო ეს ქალ-ბატონი, როგორც ᲐᲜᲔᲢᲐᲡ როლის ამსრულებელი. მარტო მისი განზე ცქვიტად გადახტომა და მორცხვად თავის ჩაკიდება და გაჩერება—როცა ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔ ასწრებს ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡთან—ამტკიცებდა, რომ ის არის ᲯᲐᲠᲒᲘ მოთამაშე და კიდეც ცდილობს როლის რიგიანად ასრულებას.

ᲗᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ და ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ—საფაროვი სწორედ თავიანთ კანში იყვნენ, მიუბაძავნი, შეუდარებელნი. ᲘᲡ ორი ხელოვანი მოთამაშენი თითქო ცდილობდნენ ერთმანეთისათვის თამაშობის უპირატესობა წაერთმიათ; მაგრამ ორივემ მედგრად დაიცვეს თავიანთი ადგილი, ასე რომ მათი მომხრენი დღესაც უთუოდ ბაასობენ—თუ ვინ უკეთ თამაშობდა: ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ თუ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ—საფაროვისა, ᲐᲨᲘᲫᲘᲡ—საფაროვისა თუ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ?

Ჭ.

P. S. მადლობა ღმერთს! ხალხი თეატრში სამსე იყო: ლოჟების, სამი წყობა კრესლოების და ერთი წყობის სკამების გარდა სხვა ადგილები სულ დაკავებულნი იყვნენ...

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

იმ პოლიტიკურს პროცესსის 10 ბრალდებულთ გამამტყუენებელ ოქმში, რომელიც ამას წინედ მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, შემდეგი დანაშაულობანი მოყვანილი: 1) ხარკოვის გუბერნატორის თ. პრაპოტკინის მოკვლა; 2) ხელმწიფე იმპერატორის მოკვლის განზრახვა; 3) რევოლიუციონერთ კრება 2 აპრ. 1879 წ.; 4) ხელმწიფე იმპერატორის სიცოცხლეზე ბოროტ-განზრახვა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ და ᲝᲓᲔᲡᲡᲘᲡ შორის რკინის გზის ქვეშ ნაღმის ამოდებთი; 5) ᲐᲛ რიგივე ბოროტ-განზრახვა მოსკოვთან 19 ნოემბ. 1879 წ.; 6) ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲛᲗᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; 7) ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲡᲐᲠᲘᲝᲠᲜᲘᲡ გადასახვევში; 8) ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ დატუსაღებულ პირებისაგან, 9) ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ, რომლის დროსაც მკვლელობა მოხდა, 1880 წ. ივლისში ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘᲡ კუნძულზე და 10) ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡ მიწოდება სოციალ-რევოლიუციონერთ დასის წევრთათვის.

მოწმეთ რიცხვი 90-ა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

(ᲖᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲗᲐᲜ, ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲨᲘ.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ 1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—2)

ᲯᲐᲜᲯᲣᲚᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲣᲒᲠᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲯᲐᲜᲯᲣᲚᲐᲖᲝᲕᲘᲡ დიდს მაღაზიაში, ᲖᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, მირიმანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა ᲡᲐᲭᲝᲜᲔᲚᲘ და ᲗᲣᲯᲘᲡ ᲤᲔᲩᲘ ნარდათ და ცალკ-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ Პ. ᲚᲔᲑᲔᲓᲘᲜᲡᲙᲘ.

5—2

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲗᲛᲘᲡᲐᲕᲚ-ᲓᲐᲙᲕᲐᲜᲘ

ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡ-ᲚᲔᲠᲘ

ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ თმას და ადრინდელ ფერს ამლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

ᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲣᲚᲔᲑᲐ ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშანი, დუხები და სხვ.

(150—3)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲙᲚᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲙᲐᲝ ᲩᲠᲐᲘ.

(20—17)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის გუბერნიის თად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო, უზენაესად დამტკიცებულის ამავე ბანკის წესდების § 16 ძალით ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 27-ს ეხლანდელ 1880 წ. შუადღის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე პ. ურლანოვის სახლში № 3 ქვეშ დანიშნულია საზოგადო ვაჭრობა, დრო გადაუდებლად, ქვემო მოხსენებულ პირთ უძრავ მამულთა, რადგანაც მათ არ შემოიტანეს ამ ბანკისაგან გატანილ სესხის ვადის გადასახდელი ბანკის წესდების 29, 30, 34 და 86 § § მებრ.

გაბაშვილნი, მიხეილ და ივანე **როსტომის-ძენი.** სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილნი და ტყე 152 დეს. 2,211 ოთხ-კუთ. საჟ. მიწით ტფილისის გუბ. და მაზრაშივე საგაბაშვილოს აგარაში. ძირითადი ვალი 997 მან. 50 კ. გადაუხდელი ხარჯი 52 მან. 40 კ. სულ ათას ორმოც-და-ცხრა მან. და ოთხმოც-და-ათი კაპ.

მაყაშვნი, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე. სახნავი ადგილნი და ტყე 660 დეს. 1,800 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილისის გუბ. თიანეთის მაზ. ბოტკო აგარაში. ძირითადი ვალი 11,970 მან. გადაუხდელი ხარჯი 518 მ. 80 კ. სულ თორმეტი ათას ოთხას ოთხმოც-და-რვა მან. და ოთხმოცი კაპ.

სადინოვი, მიხეილ პაატას-ძე. სახნავი ადგილები და ტყე ზომით 2,052 დეს 448 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. ზემო-ხოდაშენში, ახალდაბაში და ახშანში. ძირითადი ვალი 13,799 მ. 38 კ. გადაუხდელი ხარჯი 575 მან. 8 კ. სულ თოთხმეტი ათას სამას ოთხმოც-და-ოთხი მან. და ორმოც-და-ექვსი კ.

ერისთავი, კონო მირმანოზის-ძე. სახნავი, საძოვარი და სამოსახლო ადგილნი და ტყე 1,009 დეს. მიწით. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში სოფ. წოლდაში. ძირათადი ვალი 6,406 მან. 81 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 277 მ. სულ ექვსი ათას ექვსას ოთხმოც-და-სამი მან. და ოთხმოც-და-სამი კაპ.

ჩოლოყაშვილი, ილია ზაალის-ძე. სახნავი ადგილნი და ტყე ზომით 3,042 ტფილისის გუბერ. სიღნაღის მაზრაში სოფ. ჭიაურში. ძირითადი ვალი 39,426 მან. 81 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 1,653 მან. სულ ორმოც-და-ერთი ათასი მან. და სამოც-და-ცხრამეტი კაპ.

დოდაშვილის, თამარ ალექსანდრეს ასული. საძოვარი ადგილნი და ტყე 1,020 დეს. 1,920 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. ზემო-ხოდაშენთან. ძირითადი ვალი 8,673 მ. 86 კ. გადაუხდელი ხარჯი 371 მან. 46 კ. სულ ცხრა ათას ორმოც-და-ექვსი მან. მან. ოც-და-თორმეტი კაპ.

სოლაღოვი ივანე ქაიხოსროს ძე. სახნავი და სათიბი ადგილნი 95 დეს. 1620 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაშივე სოფ. კუმისში. ძირითადი ვალი 987 მან. 29 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 51 მან. 9 კაპ. სულ ათასი ოც-და-თვრამეტი მან 38 კაპ.

ერისთავნი რაფიელ და იოსებ დავითის ძენი სახნავი, სათიბი ადგილი და ტყე 900 დეს. ტფილისის გუბ, თიანეთის მაზრის სოფ. ბოჩორმაში ძირითადი ვალი 5331 მან. 42 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 237 მან. 79 კაპ. სულ ხუთი ათას ხუთას სამოცდა სამი მან. ოცდა ერთი კაპ.

ერისთავი გიორგი გიორგისძე. სახნავი და სათიბი ადგილნი 800 დეს. ტფილისის გუბერ. თიანეთის მაზრ. სოფ. ბოჩორმაში. ძირითადი ვალი 4739 მან. 17 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 201 მან. 16 კაპ. სულ ოთხი-ათას ცხრა ას ორმოცდა ექვსი მან. ოცდა ცამეტი კაპ.

შალიკაშვილნი კონსტანტინე როსტომის ძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრის შვილნი და სალომე პანტელეიმონის ასული. სახნავი, საძოვარი, სათიბი ადგილნი და ტყე 1447 დეს. 2296 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. გორის მაზრაში სოფ. სკრაში. ძირითადი ვალი 32,580 მან. 95 მან. გადაუხდელი ხარჯი 1365 მან. 49 კაპ. სულ ოცდა ცამეტი ათასი ცხრა ას ორმოცდა ექვსი მან. ორმოც და ოთხი კაპ.

გაბაშვილი ანდრია მიხეილის ძე. სახნავი და სათიბი ადგილნი 106 დესეტ. 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაშივე სოფ. ერტანაში. ძირითადი ვალი 4936 მან. 50 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 543 მან. 53 კაპ. სულ ხუთი ათას ოთხას ოთხმოცი მან. სამი კაპ.

შალიკაშვილი იოსებ ივანეს ძე. სახნავი ადგილნი და ტყე 270 დესეტ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ბურჯიანში. ძირითადი ვალი 4936 მან. 49 კაპ. გადაუადელი ხარჯი 345 მან. 95 კაპ. სულ ხუთი ათას ორას ოთხმოც და ორი მან. 44 კაპ.

ანდრონიკაშვილი რევაზ იოსებისძე. ზვარი და ტყე 1053 დეს. 1440 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, ზემო ხოდაშენის აგარაში. ძირითადი ვალი 2961 მან. 89 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 133 მ. 21 კაპ. სულ სამი ათას ოთხმოცდა ხუთი მან. და 10 კაპ.

ციციშვილი დავით ივანეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილნი 87 დეს. 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრ. სოფ. ქვემო ნიჩბისში. ძირითადი ვალი 3961 მან. 69 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 207 მან. 46 კაპ. სულ ოთხი ათასი ას სამოც-და-ცხრა მან. და 14 კაპ.

ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ თადეოზის ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილნი და ტყე 5774 დეს. 775 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრისაშივე სოფ. ყარაბულაღში. ძირითადი ვალი 59425 მან. 24 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 2474 მან. 50 კაპ. სულ სამოც-და-ერთი ათას რვაას ოთხმოც-და-ცხრა მან. სამოც-და-თოთხმეტი კაპ.

მაზურიშვილის, მარიამ დავითის ასული. სახნავი ადგილნი 12 დეს. 232 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. დუშეთის მაზ. სოფ. საშაბუროში. ძირითადი ვალი 722 მან. 33 კ. გადაუხდელი ხარჯი 42 მ. 86 კ. სულ რვაას ოც-და-თუთხმეტი მან. 19 კ.

ბარათაშვილნი, იოსებ; გიორგი, დავით და ბარბარე ივანეს შვილნი. სახნავი და სათიბი ადგილნი 536 დეს. 1,920 ოთხ-კუთ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. და მაზ. სოფ. კამარლოში. ძირითადი ვალი 5,042 მ. 60 კ. გადაუხდელი ხარჯი 256 მ. 48 კ. სულ ექვსი ათას ას ოთხმოც-და-ცხრამეტი მან. და რვა კაპ.

თარხან-მოურავი, მარიამ ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი ადგილი და ტყე 545 დეს. 1,645 ოთხ-კუთ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. გორის მაზ. სათუხარლოს აგარაში. ძირითადი ვალი 6,635 მან. 79 კ. გადაუხდელი ხარჯი 285 მ. 23 კ. სულ ექვსი ათას ცხრაას ოც-და-ერთი მან. და ორი კაპეიკი.

ამილახვარი, ამირიიდო ამირინდოს-ძე. სახნავი და სათიბი ადგილნი 145 დეს. 1,756 ოთხ-კუთ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. გორის მაზ: სოფ. წანრეთში. ძირითადი ვალი 2,971 მ. 26 კ. გადაუხდელი ხარჯი 133 მან. 21 კ. სულ სამი ათას ას ოთხი მან. ორმოც-და-შვიდი კაპ.

ერისთავი, ესტატე მირმანოზის-ძე. სახნავი და საძოვარი ადგილნი 280 დეს. 2,006 ოთხ-კუთ. საჟ. მიწით. ტფილისის გუბ. გორის მაზ. სოფ. ახრისში. ძირითადი ვალი 7,923 მან. 37 კ. გადაუხდელი ხარჯი 342 მან. 44 კაპ. სულ რვა ათას ორას სამოც და-ხუთი მან. ოთხმოც-და-ერთი კაპ.

კალათაური, გიორგი ივანეს ძე ვენახი 1. დესეტინა.მ ტფილისის გუბ. და მაზრაშივე სოფ. დიღომში. ძირითადი ვალი 700 ან. გადაუხდელი ხარჯი 33 მან. 68 კაპ. სულ შვიდას ოც-და-ცხრამეტი მანეთი, სამოც-და-რვა კაპ.

ყანდუკელი, გრიგოლ დავითის ძე. სახნავი და სამოსახლო ადგილნი 24 დეს. ტფ. გუბ. დუშეთის მაზრა სოფ. არანისში, ძირითადი ვალი 600 მან. გადაუხდელი ხარჯი 25 მან. 90 კაპ. სულ ექვსას ოც-და-ხუთი მან. ოთხმოც-და-ათი კაპ.

მაღალოვის, ნინო სარიდონის ასული. ვენახი 6 დესეტ. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ბაკურციხეში. ძირითადი ვალი 1700 მან. გადაუხდელი ხარჯი 82 მან. 16 კაპ. სულ ათას შვიდას ოთხმოც-და-ორი მ. 16 კ.

ეგოროვი, ივან ივანეს ძე. ვენახი $678^{82}{}_{2}$ დესეტ. ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით მე-10 ნაწილში 2 განყოფ. ქ. ტფ. ნაბერეჟნის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 2000 მან. გადაუხდელი ხარჯი 94 მან 80 კაპ. სულ ორი ათას ოთხმოც-და-თოთხმეტი მან. 80 კაპ.

ერისთავი, რაფიელ დავითის ძე. სათიბი ადგილი ტყე 201 დესიატინა 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თიანეთის მაზ. ბოჩორმის აგარაში. ძირითადი ვალი 2000 მან. გადაუხდელი ხარჯი 63 მან. სულ ორი ათას სამოც-და-სამი მანეთი.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე. (სტეფანოვის ყოფილი) ცარიელი ადგი- 300 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით მე-11 ნაწილში 2 განყოფ. ქ. ტფ. ძირითადი ვალი 1200 მან. გადაუხდელი ხარჯი 82 მან. სულ ათას ორას ოთხმოც-და-ორი მანეთი.

ჟურული, დურმიშხან შალვაძე. ერთი ნაკვეთი მიწა ხის სახლით 213 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით ქ. გორში ძირითადი ვალი 2000 მან. გადაუხდელი ხარჯი 421 მან 22 კაპ. სულ ორი ათასი ოთხას ოც-და-ერთი მან. 22 კ.

წესდების 19 § თანახმად გაყიდვა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალების ჯამებიდამ და მათ თან დაერთვიან სახელმწიფო და ფოჩტის ხარჯის გადასახდელნი. ბანკის თავნი ვალი შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან მათის ნორმალურის ფასით მანეთი მანეთად, აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით გადატანილ იქმნენ მყიდველებზე; ვადაზე შემოსატანი და სხვა გვარი გადასახდელები კი ნაღდი ფულით უნდა იქმნენ გადახდილნი.

ამ 1880 წლის 27 ნოემბერს დანიშნული გაყიდვა, თუ ხეირიანად ვერ მოხდა, წესდების 22 § ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი გაყიდვა 11 დეკემბრისათვის ამა წლისავე.

(დასასრული) (3 – 3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Ноября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.